



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA)

2024

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA)

უმაღლესი განათლების საფეხური: მეორე საფეხური (მაგისტრატურა)

კვალიფიკაციის დონე: დონე 7

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/ Executive Master of Business

Administration

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით: 0413 მენეჯმენტი და

ადმინისტრირება/ Management and Administration

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი, 2 სემესტრი

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი / 1500 ასტრონომიული საათი

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი თეონა მაისურაძე

პროგრამის აღწერა

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შექმნილია ბიზნესის სფეროში მენეჯერული გამოცდილების მქონე პროფესიონალებისათვის, რომლებსაც სურთ განვიტარონ გუნდის მართვისა და ინტერპერსონალური უნარები, ჩამოიყალიბონ და დახვეწონ სისტემური ხედვა, დაეუფლონ გადაწყვეტილებების მიღების ხერხებსა და მხარდამჭერ მექანიზმებს და ჩამოყალიბდნენ გლობალურ მენეჯერებად, იაზროვნებენ სტრატეგიულად, შეიმუშავებენ ორგანიზაციის გამოწვევების გადასაღებად საჭირო მდგრად მიდგომებს და ხელს შეუწყობენ მათი ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობას.

პროგრამის ხანგრძლივობაა ერთი წელი და იგი მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროგრამა მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კომპონენტებს. სურვილის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება დამატებითად აირჩიოს საჭირო საბაზო სასწავლო კურსი, რომელიც შემთხვევაშიც შედგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

აუცილებელია სტუდენტის მზაობა თითოეული კურსის ფარგლებში განახორციელოს პროექტი/პრაქტიკული დავალება, წარუდგინოს მისი შედეგი კურსის სამუშაო ჯგუფს, მიიღოს მათგან შესაბამისი რჩევები და კურსის დასრულების შემდეგ წარადგინოს თვითრეფლექსია და შემდგომი განვითარების გეგმა.

თითოეულ კურსს ყავს განსაზღვრული სამუშაო გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტისათვის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად მასალების მიწოდების, უნარების განვითარებისათვის პრაქტიკული რჩევებისა და სამუშაოების დაგეგმვისა და კურსის დავალებების შეფასების პროცესზე. ეს გუნდი შედგება ექსპერტებისა და მენტორებისგან, რომლებსაც მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია აქვთ პროგრამაში.

სასწავლო კურსის ლექტორი არის სამუშაო გუნდის ფასილიტატორი, რომელიც განლავთ თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების დამგეგმველი და განმხორციელებელი, ხოლო კურსის ფარგლებში ბლოკებისა და ეტაპების სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეულ კურსს ყავს ექსპერტი და მენტორი. ექსპერტი სტუდენტებს უზიარებს როგორც საუკეთესო პრაქტიკებს, გამოწვევებსა და შეცდომებს, ასევე პროექტების განხორციელების ეტაპზე მზად არის სტუდენტს კონკრეტული ექსპერტული რჩევა მისცეს. მენტორი სწავლების პროცესში მეტად ჩართულია, შესაბამისი მომზადების შედეგად ის ენმარება სტუდენტს საკუთარ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში. პროგრამაში ჩართული პრაქტიკოსებისათვის, რომლებიც შეასრულებენ მენტორის როლს ყოველი სემესტრის დასაწყისში ჩატარდება ქოუჩინგის მასტერკლასი, სადაც მათ საშუალება ექნებათ კიდევ ერთხელ გაიღრმავონ პოტენციის აღმოჩენისა და განვითარების თანამედროვე ფსიქო-ტექნოლოგიები, ქოუჩინგისა და მენტორის პროფესიული ეთიკა და სტანდარტების კოდექტი და პროცესში მოქმედების დიზაინი და ზრდისათვის აუცილებელი ელემენტები. აღნიშნული მასტერკლასის შედეგად მენტორები სიღრმისეულად გაიცნობენ მენტორის მუშაობის ფორმატს, ტექნიკასა და მასთან ასოცირებულ ეთიკის ნორმებს, შეეძლებათ უახლესი მეთოდები მოარგონ კონკრეტულ

სასწავლო მიზნებს და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით დაეხმარონ სტუდენტებს პიროვნული და კარიერული განვითარების პროცესში.

პროგრამის მიზნები

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები:

მიზანი 1: მაგისტრანტს განუვითაროს ორგანიზაციაში ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის ბიზნეს პროცესების სისტემურად გააზრებისა და შეფასების უნარები.

მიზანი 2: ბიზნესში წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობით მისცეს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ახალი ტენდენციების გაცნობა-გაღრმავების საშუალება.

მიზანი 3: მაგისტრანტს განუვითაროს ორგანიზაციის წარმატებისათვის საჭირო გუნდთან ეფექტიანი მუშაობისა და თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მნიშვნელობის აღქმის უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შემდეგი სახის ცოდნითა და უნარებით იქნება აღჭურვილი:

1. **განვითარებული აქვს** კრიტიკული, ანალიტიკური და სისტემური აზროვნების უნარები.
2. **პრობლემას განიხილავს** კომპლექსურად, როგორც სხვადასხვა ზემოქმედი ფაქტორების ერთობლიობას.
3. ახდენს **პრობლემის იდენტიფიცირებას**, აყალიბებს და აფასებს ალტერნატიული **გადაჭრის მიდგომებს**, ირჩევს და ასაბუთებს საუკეთესო გადაჭრის ტექნიკას.
4. აყალიბებს და განმარტავს **შეფასების სხვადასხვა ინდიკატორებს**, შესრულების პროგრესისა და ეფექტიანობის გასაზომად, განსაზღვრავს აუცილებელ ჩარევის საჭიროებებს.
5. ახალი ბიზნეს შესაძლებლობების აღმოჩენის მიზნით, შეისწავლის გლობალურ და **საბაზრო ტენდენციებსა და პერსპექტივებს**, მარეგულირებელ **გარემოს**, ტექნოლოგიებს და ინოვაციებს, ეკოსისტემებს, წარმოების პრაქტიკებს, მიწოდებისა და ვაჭრობის პრაქტიკებს.
6. განსაზღვრავს თანამშრომელთა **სწავლისა და განვითარების** საჭიროებებს, ზრუნავს პირად და გუნდის წევრთა მუდმივ განვითარებაზე.
- 7.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:

- ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის მაგისტრატურის 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში.
- შიდა საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდ(ებ)ი ან/და გასაუბრება.

საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და

აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაადასტუროს სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე.

მობილობის წესით ჩარიცხვა

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე, მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

სასწავლო პროცესის ორგანიზება

სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში შეზღუდულია, მაქსიმალური რაოდენობაა 5 სტუდენტი ერთ სამუშაო ჯგუფში. საკონტაქტო საათების ფარგლებში სამუშაო შეხვედრები ტარდება როგორც ჯგუფთან ასევე ინდივიდუალურად, რაც შეეხება დამოუკიდებელ სამუშაო საათებს, სტუდენტი კონკრეტული კურსის ფარგლებში ასრულებს საპროექტო დავალებას, ამზადებს თვითრეფლექსიას და ანგარიშს.

სწავლების ტიპები:

1. სალექციო სემინარები:

- სტუდენტს გადაეცემა კურსისათვის საჭირო თეორიული საკითხავი მასალა, ვიდეო და აუდიო მასალები და კურსისათვის საჭირო ჩანაწერები. მას ექნება თეორიული მასალის საფუძველზე ლექტორთან განხილვის საკონტაქტო საათები, სადაც ლექტორი მზად იქნება სტუდენტის მიერ მოთხოვნილი საკითხის პრაქტიკული დემონსტრირება/ახსნა მოახდინოს.

2. პრაქტიკოსი/ექსპერტი მენტორები:

- კურსის შინაარსიდან და მასში შემავალი ბლოკიდან გამომდინარე, კურსის ფარგლებში დისკუსიებს ჩაატარებენ მოწვეული პრაქტიკოსები და ექსპერტები. შეხვედრის დროს ხდება გამოცდილების გაზიარება კონკრეტულ, წინასწარ შეთანხმებულ ფორმატში, რომელიც ფასილიტირებასაც ახდენს კურსის ლექტორი.

3. კურსის ფარგლებში პრაქტიკული დავალებები:

- პროგრამა პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, შესაბამისად ყველა სასწავლო კურსი მოიცავს პროექტს. პროექტი შეფასდება როგორც კურსის ლექტორის, ასევე პროექტში ჩართული კომპანიისა და პროგრამის აკადემიური კორპუსისაგან შექმნილი სამუშაო გუნდის მიერ. კურსის სპეციფიკისა და მასში შემავალი ბლოკის გათვალისწინებით სტუდენტისათვის ინდივიდუალურად შეიქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ლექტორის ხელმძღვანელობით დავალების შინაარსიდან გამომდინარე სხვადასხვა პერიოდულობით შეაფასებს და რეკომენდაციებს მისცემს სტუდენტს.

4. თვითრეფლექსია:

- ყველა კურსის ბოლოს სტუდენტი ლექტორთან ერთად ამზადებს თვითრეფლექსიას, რომელშიც ასახულია კურსის ფარგლებში ის გამოცდილება, რომელიც სტუდენტმა მიიღო. თვითრეფლექციაში ინტეგრირებულია კურსის ფარგლებში მიმდინარე შეფასებები, რის საფუძველზეც სტუდენტი ადგენს შემდგომი განვითარების გეგმას.

კომპეტენციების რუკა
პროგრამის მიზნების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები					
	შედეგ ი 1	შედეგ ი 2	შედეგ ი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6
პროგრამის მიზანი I	✓	✓	✓		✓	✓
პროგრამის მიზანი II			✓	✓	✓	
პროგრამის მიზანი III	✓	✓	✓	✓		✓

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება)

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები		სწავლის შედეგები					
		I	II	III	IV	V	VI
1.	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	3	3	3		3	3
2.	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	3	3	3	3	3	3
3.	პროექტების მართვა და კონსულტირება	3	3	3	3	3	3

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულები

სწავლის შედეგი	სასწავლო კურსი/კურსები	შეფასების რუბრიკა	შეფასების პერიოდი	შემფასებელი	სტუდენტთა რაოდენობა	სამიზნე ნიშნული

1. განვითარებული აქვს კრიტიკული, ანალიტიკური და სისტემური აზროვნების უნარები.	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	დასკვნითი პროექტი	I სემესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	პრეზენტაცია	I მესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	პროექტების მართვა და კონსულტირება	პროექტი	II სემესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
2. პრობლემას განიხილავს კომპლექსურად, როგორც სხვადასხვა ზემოქმედი ფაქტორების ერთობლიობას.	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	დასკვნითი პროექტი	I სემესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	პროექტების მართვა და კონსულტირება	პროექტი	II სემესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
3. ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას , აყალიბებს და აფასებს ალტერნატიული გადაჭრის მიდგომებს, ირჩევს და ასაბუთებს საუკეთესო გადაჭრის ტექნიკას.	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	დასკვნითი პროექტი	I სემესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმხორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	პროექტების მართვა და	პროექტი	II სემესტრი	კურსის	30	სტუდენტთა

	კონსულტირება			განმზორციელებელი		50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
4. აყალიბებს და განმარტავს შეფასების ინდიკატორებს, სხვადასხვა შესრულების პროგრესისა და ეფექტიანობის გასაზომად, განსაზღვრავს აუცილებელ საჭიროებებს. ჩარევის	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	პროექტების მართვა და კონსულტირება	პროექტი	II სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
5. ახალი ბიზნეს შესაძლებლობების აღმოჩენის მიზნით, შეისწავლის გლობალურ და საბაზრო ტენდენციებსა და პერსპექტივებს, მარეგულირებელ გარემოს, ტექნოლოგიებს და ინოვაციებს, ეკოსისტემებს, წარმოების პრაქტიკებს, მიწოდებისა და ვაჭრობის პრაქტიკებს.	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	დასკვნითი პროექტი	I სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	პროექტების მართვა და კონსულტირება	პროექტი	II სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
6. განსაზღვრავს თნამშრომელთა სწავლისა და განვითარების საჭიროებებს, ზრუნავს პირად და გუნდის წევრთა მუდმივ განვითარებაზე.	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	დასკვნითი პროექტი	I სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.

	პროექტების მართვა და კონსულტირება	პროექტი	II სემესტრი	კურსის განმზორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 70%-ს.
--	-----------------------------------	---------	-------------	-------------------------	----	------------------------------------------------

სწავლების ორგანიზება

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი) და ითვალისწინებს 60 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 1500 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგისა და მიზნების მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. აკადემიური (გაზაფხულის და შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 60 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის შესრულებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სამაგისტრო საფეხურზე სწავლება **ავტონომიურ სწავლაზე**, დამოუკიდებელ აზროვნებაზე, აუდიტორიის გარეთ აქტიურ კითხვასა და სემინარების განმავლობაში დისკუსიის სახით იდეების დაცვაზე განსაკუთრებულ აქცენტს მოიაზრებს. შესაბამისად, დამოუკიდებელი სწავლა სამაგისტრო საფეხურზე სწავლის ძირითად ელემენტს შეადგენს. იგი სტუდენტებისგან მოითხოვს საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღებას და მოცემული დროის ეფექტურ გადანაწილებას. **ავტონომიური სწავლა** განცალკევებულად მეცადინეობას არ გულისხმობს, ვინაიდან პროგრამის ფარგლებში ჯგუფური სამუშაოებიც იქნება შესასრულებელი, ისევე როგორც თანატოლთა მხრიდან მონიტორინგი, ინდივიდუალურად შედგენილი სასწავლო სქემები და საკონსულტაციო საათები.

აქტიური სწავლა **სტუდენტებს** საკურსო მასალის სრულყოფილად გააზრების საშუალებას აძლევს. აქტიური სწავლისას ვლინდება ინდივიდი სტუდენტის ცოდნის დონე. სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების ინტერპრეტირების საშუალება ეძლევათ, რაც მათ ინდივიდუალურ დონეზე ცოდნისა და უნარების განვითარებაში ეხმარებათ. აღნიშული პროცესი სტუდენტებს იდეებთან, კონცეფციებთან და მათ სისტემატიზირებასთან დაკავშირებით პრაქტიკული ხედვის ჩამოყალიბების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, პროგრამაში ინტეგრირებული ურთიერთ და თვითშეფასების მექანიზმები სტუდენტების მიერ საკუთარი თავისა და თანატოლების მიმართ დამოკიდებულებაზე დადებით როლს თამაშობს. აქტიური სწავლა, სტუდენტებს შორის, ისევე როგორც მათსა და ლექტორებს შორის სოციალური ურთიერთობის განვითარებას უწყობს ხელს და აყალიბებს თანასწორ, მრავალფეროვან და ინკლუზიურ საზოგადოებას აუდიტორიაში.

აქტიური სწავლის **ღირებულება** სწავლების ფუნქციის მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს. სტუდენტებისთვის ხელის შეწყობის მიზნით, თითოეული კურსი კონცენტრირებულია მართებული სირთულის მქონე ამოცანების შერჩევასაკენ. ლექტორები სტუდენტებს საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის გამომუშავებაში ეხმარებიან. აქტიური სწავლა სტუდენტებს ორგანიზებულობის, აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტის გზებისა და შესაბამისი ქვევების გამომუშავებაში ეხმარება. აქტიური სწავლება ლექტორისთვის, მენტორის, მსმენელისა და ქომაგის ფუნქციების შეთავსებასაც გულისხმობს.

ავტონომიური აქტიური სწავლის უნარის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური აქტივობების, კურსისა და პროგრამის რეფლექსიის უნარის განვითარება სამაგისტრო გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილია. პროგრამაში სხვადასხვა კომპონენტების შეფასება შედგება სამი ეტაპისგან: 1. პრობლემის იდენტიფიცირება, რომელიც მოიცავს პრობლემის კონტექსტის ასახვას. ყველა დავალება შექმნილია ისე, რომ სტუდენტებმა სისტემური აზროვნების მეშვეობით შეძლონ ზედაპირის ქვეშ რეალური პრობლემის იდენტიფიცირება. 2. მეორე ეტაპზე, ყოველი დავალება საშუალებას აძლევს სტუდენტებს დააყენონ პრობლემა სწორ კონტექსტში და აირჩიონ შესაბამისი გადაწყვეტის პროცესი. 3. ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი არის მესამე ეტაპი, როდესაც სტუდენტები აანალიზებენ რა გააკეთეს და რა ისწავლეს, რაც ასევე

შეიძლება მოიცავდეს მათ მიერ დაშვებული შეცდომების განხილვას. სტუდენტებს მოეთხოვებათ თვითრეფლექსია, რათა შეაფასონ საკუთარი თავი და მათი ინდივიდუალური წვლილი პრობლემის გადაჭრაში, რაც კიდევ ერთ საშუალებას აძლევთ გაიაზრონ პროცესი და განივითარონ შესაბამისი ცოდნა და უნარები.

უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული **ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია** სტუდენტებს რეალურ ბიზნეს პროექტებთან დაკავშირების საშუალებას და სხვადასხვა პროექტების შესრულებისთვის საჭირო კონკრეტული უნარების შესასწავლად ინდივიდუალური მენტორობის მომსახურებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. არჩევითი კურსების კონტექსტში არსებული ცენტრი საერთო იდეების მატარებელ სტუდენტებს ერთმანეთთან დაკავშირების და მათი ბიზნეს იდეების რეალობად ქცევის შანსს აძლევს. გარდა ამისა, ცენტრში კონკრეტული უნარების განმავითარებელი დარგის სპეციალისტთა მიერ ორგანიზებული ვორქშოფები და აქტივობები ეწყობა. ცენტრი აქტიურადაა ჩართული ცალკეული კურსების პრაქტიკული ელემენტების განვიღვარებაში, კოორდინირებას უწევს პრაქტიკოსებისა და კომპანიების მონაწილეობას სასწავლო პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილება, როგორც აუდიტორულ, ისე საზღვარგარეთ სწავლისა და სანაცნობო წრის გაფართოების ასპექტს გულისხმობს. პარტნიორ უნივერსიტეტებში სწავლით სტუდენტებს მრავალეთნიკური გარემოს შექმნა და მასში შორეული ქვეყნებიდან თანამოაზრეთა გაერთიანება შეუძლიათ. პროგრამა ჩართულია უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამებში და ასევე დაბრუნებული სტუდენტების გამოცდილების გაზიარებისა და პროგრამაში სიახლეების დანერგვის მექანიზმიც გააჩნია. ასევე ხშირის პროგრამაზე უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტების ვიზიტები, რომლების მასტერკლასებს, ვორქშოპებსა და საკუთარი პრაქტიკული ცოდნის გაზიარების სასემინარო აქტივობებს სთავაზობს როგორც პროგრამის სტუდენტებს, ასევე პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს, რაც კიდევ ერთ დამატებით თანამშრომლობის პლატფორმას ქმნის სტუდენტებისათვის.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები:

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა - ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

წერიტი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შებრუნებული აუდიტორია

„შებრუნებული აუდიტორიის“ კლასიკური სტრუქტურა სტუდენტების მიერ შინაარსის ჯერ ონლაინ ჩაწვდომას (საკითხავი მასალა, ვიდეო ლექციები, პოდკასტები), ხოლო შემდეგ ზედამხედველობის ქვეშ პრაქტიკას გულისხმობს. აღნიშნული, სასწავლო მიზნების, პროცედურების, როლებისა და შეფასების კრიტერიუმების ზედმიწევნით ახსნას ავალდებულებს.

დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლა

დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის ძირითად დანიშნულებას სტუდენტის თითოეული აკადემიური დისციპლინის გაფართოებულ განხილვაში ჩაღრმავებას წარმოადგენს. დისკუსიები სტუდენტებს თავიანთი ცოდნისა და კრიტიკული აზროვნების უნარების პრაქტიკაში გამოყენებისა და სხვადასხვა მოსაზრებებთან რეალურ დროში ინტერაქციის საშუალებას აძლევს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)

აღნიშნული მეთოდი ქეისზე დაფუძნებულს წააგავს, თუმცა მის მთავარ აზრს პრობლემის, პროცესისა და შედეგის ორაზროვნების მაქსიმალურად შენარჩუნება წარმოადგენს. იგი სტუდენტებს გაურკვევლობის განცდას აიძულებს. კურსის წამყვანს იგი ხელოვნურად გართულებული პრობლემის წარმოშობას და ჯგუფებისთვის (კონკრეტული ან არაკონკრეტული როლები) მისი ამოხსნის კონკრეტული ვადის მიცემას ავალდებულებს. კურსის წამყვანი ახდენს სტუდენტების წინასწარ მომზადებას, არ აძლევს მათ ნათელ პასუხებს ან კომფორტულ მიმართულებებს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პროცესში სტუდენტები ახდენენ საჭირო ცოდნისა და უნარების იდენტიფიცირებას, რომლიც უზრუნველყოფისათვის მზადაა კურსის წამყვანი ლექტორი თუ პრაქტიკოსი.

პროექტზე დაფუძნებული სწავლა

პროექტზე დაფუძნებული მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებულს წააგავს, მაგრამ მისი საშუალებით სტუდენტი პრობლემასა და შეკითხვაზე პასუხს კვლევაში პოულობს. ეს მეთოდი კრეატიულ პროდუქტს წარმოშობს, რომელიც სტუდენტის ხანგრძლივ ჩართულობასა და სწავლას მოიაზრებს, თუმცა შესაძლოა სტუდენტმა მეტი დრო და რესურსები აკადემიური შინაარსის ხარჯზე კრეატიულ პროდუქტში ჩადოს. სტუდენტებით დაკომპლექტებული ჯგუფისთვის პროექტის მიცემისას, სამართლიანი წვლილის შეტანის პრინციპი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული. შეფასებისას განსხვავებული წვლილი გათვალისწინებული უნდა იყოს და თანატოლთა შეფასებასაც უნდა მოიცავდეს.

პროექტის პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.

- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 11 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტი

სტუდენტის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის საბოლოო შეფასების განსაზღვრისათვის, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), შუალედურ და დასკვნით შეფასებას დადგენილი აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც დგინდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით. გამონაკლისი დგინდება კონკრეტული პროგრამის/სასწავლო კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის პარტნიორები

პარტნიორი ორგანიზაციები

1. ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალთინგ კომპანია
2. შპს ბაზალტ ფაიბერსი
3. შპს გლობალ ავტო იმპორტ
4. შპს დიჯიტალ მარკეტინგ ჰაუს
5. შპს იმპექსფარმა
6. შპს ინდივანი
7. შპს ინვეტი
8. შპს კოფისტა
9. შპს ლეთა
10. შპს მარკეტინგული ღრუბელი
11. შპს მექან
12. შპს ნუტრიმაქსი
13. შპს პარაგრაფ თბილისი სითი
14. შპს საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა
15. შპს სოლვეითი
16. შპს ტექინჟინერინგ ჯგუფი
17. ჯეო პიცა
18. ააიპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება
19. ააიპ თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი
20. სასტუმრო ჰოტელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი
21. შპს allmarket.ge
22. შპს Discover Georgia
23. შპს აგროკახეთი
24. შპს ავიაქსელი
25. შპს ანდამატი
26. შპს აუტო ექსპორტ ჯორჯია

27. შპს იზი კრედიტი
28. შპს კახური თბილი
29. შპს ლოიალტე
30. შპს მარგი 2018
31. შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ
32. შპს პანორამა კვარიათი
33. შპს რთველო
34. ააიპ საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაცია
35. შპს სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი
36. შპს ბარამბო

საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები:

1. Turiba University
2. Istanbul Medipol University
3. Tor Vergata University of Rome
4. UCSI University
5. Bucharest University of Economic Studies
6. Yeditepe Univerisity
7. University of Economics and Human Sciences in Warsaw
8. Transport and Telecommunication Institute
9. Tomas Bata University in Zlín
10. Open University of Human Development „Ukraine"
11. Yaşar University, Izmir
12. University of A Coruña
13. Universitat Jaume I
14. University of Potsdam
15. Romanian American University
16. DHBW Karlsruhe

დასაქმების სფერო

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს სისტემურ, ინტერპერსონალურ და კონცეპტუალურ მენეჯერულ კომპონენტებს, აქედან გამომდინარე კურსდამთავრებულებს ეძლევათ განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობები მენეჯერული წინსვლისთვის. მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს დაწინაურდეს ან დაიკავოს მაღალი მენეჯერული პოზიცია სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციაში, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო სექტორი, შემდეგ პოზიციებზე: ზოგადი მენეჯერი, განვითარების მენეჯერი, პროცესის განვითარების მენეჯერი, პროდუქტის განვითარების მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი.

პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკოსები და ექსპერტები, რომლებიც იმუშავებენ სტუდენტებთან პრაქტიკულ პროექტებზე, ასევე დაინტერესებულები არიან ახალი კადრების განვითარებითა და მოზიდვით, შესაბამისად მრჩეველებთან ურთიერთობა შემდგომ მათთან დასაქმების, ასევე მათ მიერ რეკომენდირების შესაძლებლობებსაც შექმნის.

საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები არიან როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს კომპანიები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, საერთაშორისო კომპანიები და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს არ შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-

ტექნიკური რესურსების და ლიტერატურის მუდმივ განახლებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო დანახარჯებსა და მათი ნაშრომების გამოცემა-დაბეჭდვაზე. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებების ხარჯები, სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში.

პროგრამის ხარისხის მონიტორინგი

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება/განვითარება.

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის განვითარების დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს კვლევებს და ანალიზებს შედეგებს:

- ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტების მიერ (სემესტრში ერთხელ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (მიაღწიეს თუ არა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს) (სწავლის ბოლო წელს);
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება სტუდენტების მიერ (წელიწადში ერთხელ);
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება სტუდენტის მიერ (სამაგისტრო ნაშრომის დასრულებისას);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ);
- დამსაქმებელთა გამოკითხვა (წელიწადში ერთხელ);
- სასწავლო კურსის თვითშეფასება (ლექტორის მიერ, სემესტრში ერთხელ);
- პროგრამის თვითშეფასება (პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, წელიწადში ერთხელ);
- აკადემიური მოსწრების ანალიზი.

თითოეული გამოკითხვა გაანალიზებულია და განსაზღვრულია ტენდენციები უნივერსიტეტის მასშტაბით. ასევე, სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე. გამოკითხვები და კვლევები საშუალებას იძლევა გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ფაკულტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის.

შედარებითი ანალიზი ხორციელდება ხარისხის განვითარების დეპარტამენტის მიერ და შედეგები მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეებს. ხარისხის განვითარების დეპარტამენტი გეგმავს ტრენინგების ორგანიზებას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს შესაძლებლობები ამ პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობისთვის.

მატერიალური რესურსი

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია, რომელიც სტუდენტებს რეალურ ბიზნეს პროექტებთან დაკავშირების საშუალებას და სხვადასხვა პროექტების შესრულებისთვის საჭირო კონკრეტული უნარების შესასწავლად, ინდივიდუალური მენტორობის მომსახურებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. ლაბორატორია, საერთო იდეების მატარებელ სტუდენტებს ერთმანეთთან დაკავშირების და მათი ბიზნეს იდეების რეალობად ქცევის შანსს აძლევს. გარდა ამისა, ეწყობა კონკრეტული უნარების განმავითარებელი დარგის სპეციალისტთა მიერ ორგანიზებული ვორქშოფები და

აქტივობები. ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია ასევე აქტიურადაა ჩართული ცალკეული კურსების პრაქტიკული ელემენტების განვითარებაში, კოორდინირებას უწევს პრაქტიკოსებისა და კომპანიების მონაწილეობას სასწავლო პროცესში. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს თანამედროვე და ინოვაციური ხელოვნური ინტელექტის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია უახლესი თაობის კომპიუტერებით. ლაბორატორია გამოიყენება როგორც სასწავლო/პრაქტიკული ასევე კვლევითი მიმართულებითაც. ლაბორატორია შექმნილია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებისთვის მათ შორის მანქანური სწავლება, ბუნებრივი ენის დამუშავება, რობოტიკა და სხვა, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა გამოყენებითი პროექტების განხორციელება მაგალითად პრაქტიკული აპლიკაციების შექმნა ისეთი ინდუსტრიებისთვის როგორცაა ჯანდაცვა, ბიზნეს ანალიტიკა, ფინანსები, ბიზნესი, განათლება და ა.შ.

სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დამშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტები სემესტრული განაწილება	
					ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა ან მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები												
N	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები			შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა							I	II
											30	30

	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183	9	
2.	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183	9	
3.	პროექტების მართვა და კონსულტირება	12	300	არ აქვს	24	26	3	3	56	244		12
N	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა									I	II
											12	12
1.	ორგანიზაციული დიზაინი და განვითარება	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183		
2.	ეკონომიკა მენეჯერებისათვის	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
3.	მეწარმეობა და ბიზნესის რეგულირება	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
4.	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს ანალიტიკისთვის	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
5.	მონაცემთა ანალიზი	6	150	არ აქვს	12	13	2	3	30	120		
6.	მარკეტინგი და გაყიდვების მართვა	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
7.	სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
8.	ბიზნესის კვლევის მეთოდები	9	225	არ აქვს	13	24	3	3	43	182		
9.	მარკეტინგის ანალიზი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		

10	კონფლიქტების მართვა და ორგანიზაციული კონტექსტი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
11	შესრულების (შედეგიანობის) მართვა და კონტროლი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
12	ოპერაციული სრულყოფილება და ბიზნესის რისკების მართვა	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183		
13	ფინანსების მენეჯმენტი და ანალიზი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
14	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
15	ინოვაციები და ახალი პროდუქტის მართვა	6	150	არ აქვს	12	13	2	3	30	120		
16	Six Sigma Green Belt	6	150	არ აქვს	12	13	3	3	31	119		
17	ბლოქჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში	6	150	არ აქვს	13	12	3	3	31	119		
18	მწვანე დღის წესრიგი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		
19	საერთაშორისო საგადასახადო საქმის პრინციპები	6	150	არ აქვს	12	13	2	3	30	120		
	სულ	60									30	30



აკადემიური/მოწვეული პერსონალი

N	სასწავლო კურსი	კურსის განმახორციელებელი	სტატუსი
1.	სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება	თეონა მაისურაძე	პროფესორი
		ნატია კობერიძე	ასოცირებული პროფესორი
		გიორგი ღლონტი	მოწვეული ლექტორი
2.	თანასწორობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია და მდგრადი მართვა	გიორგი დონაძე	ასოცირებული პროფესორი
		მაია ჭიაბრიშვილი	მოწვეული ლექტორი
3.	პროექტების მართვა და კონსულტირება	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ანა თვალთაშვილი	მოწვეული ლექტორი
4.	ორგანიზაციული დიზაინი და განვითარება	გოდერძი ბუჩაშვილი	პროფესორი
		თეონა მაისურაძე	პროფესორი
5.	ეკონომიკა მენეჯერებისათვის	ნონა გელიტაშვილი	მოწვეული ლექტორი
6.	მეწარმეობა და ბიზნესის რეგულირება	დავით ნიჟარაძე	პროფესორი
7.	ოპერაციული სრულყოფილება და ბიზნესის რისკების მართვა	დავით ნიჟარაძე	პროფესორი
		ნონა გელიტაშვილი	მოწვეული ლექტორი
8.	ბიზნესის კვლევის მეთოდები	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
9.	ფინანსების მენეჯმენტი და ანალიზი	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი

	მარკეტინგი და გაყიდვების მართვა	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ანა ყაზაიშვილი	ასისტენტ პროფესორი
11.	სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი
		თინათინ მეძმარიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
12.	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს ანალიტიკისთვის	დავით ყიფშიძე	ასისტენტ-პროფესორი
13.	მარკეტინგის ანალიზი	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ლია ხმიადაშვილი	მოწვეული ლექტორი
14.	მონაცემთა ანალიზი	ნინო ბლიაძე	მოწვეული ლექტორი
		ნინო ლომთაძე	მოწვეული ლექტორი
15.	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	ხატია კობერიძე	ასოცირებული პროფესორი
		გიორგი ქამადაძე	მოწვეული ლექტორი
16.	ინოვაციები და ახალი პროდუქტის მართვა	ნოდარ სირბილაძე	მოწვეული ლექტორი
17.	ექვსი სიგმა მწვანე ქამარი	ანდრეი სერგეევი	მოწვეული ლექტორი
18.	ბლოქჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
19.	მწვანე დღის წესრიგი	ირაკლი სამხარაძე	ასოცირებული პროფესორი
20.	კონფლიქტების მართვა და ორგანიზაციული	ანა ყაზაიშვილი	ასისტენტ პროფესორი

	კონტექსტი		
21.	შესრულების (შედგენიანობის) მართვა და კონტროლი	ნინო დიდიშვილი	ასოცირებული პროფესორი
22.	საერთაშორისო საგადასახადო საქმის პრინციპები	პაატა შურღაია	ასოცირებული პროფესორი

აკადემიური/მოწვეული პერსონალი

N	სახელი და გვარი	სტატუსი	აფილირება
1.	თეონა მაისურაძე	პროფესორი	აფილირებული
2.	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი	აფილირებული
3.	გოდერძი ბუჩაშვილი	პროფესორი	აფილირებული
4.	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი	აფილირებული
5.	დავით ნიჟარაძე	პროფესორი	-
6.	ნინო დიდიშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
7.	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
8.	თინათინ მეძმარიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
9.	გიორგი დონაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
10.	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
11.	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
12.	ირაკლი სამხარაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
13.	ხატია კობერიძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული

	პაატა შურღაია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
15.	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	-
16.	ანა ყაზაიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
17.	დავით ყიფშიძე	ასისტენტ-პროფესორი	-
18.	გიორგი ქამადაძე	მოწვეული ლექტორი	-
19.	ლია ხმიადაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
20.	გიორგი ღლონტი	მოწვეული ლექტორი	-
21.	ნოდარ სირბილაძე	მოწვეული ლექტორი	-
22.	ანა თვალაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
23.	მაია ჭიაბრიშვილი	მოწვეული ლექტორი	-
24.	ნონა გელიტაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
25.	ანდრეი სერგეევი	მოწვეული ლექტორი	-
26.	ნინო ბლიაძე	მოწვეული ლექტორი	-
27.	ნინო ლომთაძე	მოწვეული ლექტორი	-